№ 139 მკათათვე 5, ოთხშაბათი 1889 მკათათვე 5, ოთხშაბათი № 139

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ამ თვის 4-ს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მატარებლით, დილის ცხრა საათზე, ჩამობრძანდა ტფილისს ბ-ნი ტფილისის ვიცე-გუბერნატორი, პ. ი. ჩაიკოვსკი.

*** ქართულს საზოგადოებას ეხსომება, რომ, ეს შვიდიოდე წელიწადია, უძველეს და უმდიდრეს ქართველ სახლობის წევრთა შორის, სახელდობრ სამეგრელოს თავად ნიკოლოზისა და იმის დის პრინცესა სალომე მიურატის შორის, დიდი და არა სასიამოვნო დავა სწარმოებდა. საქმე ის იყო, რომ განსვენებულმა სამეგრელოს დედოფალმა, ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა დადიანისამ, რომელიც გარდაიცვალა 1882 წელს, დასტოვა დიდ-ძალი ქონება—უძრავი თუ მოძრავი. მარტო მოძრავი ქონება, თვალ-მარგალიტი, ოქრო თუ ვერცხლი და ავეჯი თუ სხვა ნივთი, პრინცესა მიურატის დაფასებით, ჰფასობს არა ნაკლებ ექვსას ათასის მანეთისა. აი, სწორედ ამ მოძრავის ქონების შესახებ ასტყდა ძლიერი დავა დასა და ძმას შორის და ამ შვიდის წლის განმავლობაში ბოლო ვერას გზით ვერ მოუღეს. როგორც ყოველს საგვარეულო დავას, ამ დავასაც ბევრი უსიამოვნება და შფოთი მოჰყვა და ვინ იცის, საქმე რითი გათავდებოდა, რომ მოთავეთა შორის მორიგება არ ჩამოვარდნილიყო. ამ ბოლო ხანებში თავადმა სამეგრელოსამ საქმე მიანდო ნაფიცს ვექილს თავ. ვ. გ. მაჩაბელს, რომელმაც საქმე მორიგებით გაათავა. ამ მორიგების ძალით თავადმა ნიკოლოზმა თავის დას, პრინცესა მიურატისას, დაუთმო სალიპარტიანო და ზუგდიდის მამული, ხოლო დანარჩენი მამული და მოძრავი ქონება თვით თავადს დარჩა. ეს მორიგება ამ დღეებში დამტკიცებულ იქმნა სანოტარიალო წესით.

*** ჩვენ გვთხოვენ ყურადღება მივაქციოთ ბ-ნ მეშჩერსკისა ალექსანდრეს ქუჩის საშინელს სიმყრალეს, ამ ქუჩაზედ მეშჩერსკის ამხანაგ შეინფოგელს მოუწამლავს ერთი ძაღლი, მოწამლული კვირას აქეთ აქა გდია და არავინ-კი არა ჰფიქრობს იმის გადაგდებას. ამ ქუჩის მცხოვრებლებს საშინელს სიცხეში ვერც ფანჯრები გაუღიათ და ვერც გარეთ გამოსულან სუნის გამო. ნუ თუ დრო არ არის, ეს ოთხი დღის დაგდებული ძაღლი აიღონ და ქუჩაში არ ალპობდნენ და არ აყროლებდნენ?!

*** თიბათვის თვის განმავლობაში ჩვენს ტფილისის ბაზრებში შემოსულა სულ 955 ტომარა ფქვილი და 3,780 ტომარა ქერი. ფქვილი დარჩენილა გაუყიდავი სულ 30 ტომარა, ქერი-კი სულ გაყიდულა. აქაური ფქვილი იყიდებოდა ექვს აბაზად, მანათად და ორ შაურად, მანეთად და ოთხ აბაზ უზალთუნადაც ფუთი ხარისხისადა კვალად. ქერი იყიდებოდა თერთმეტ შაურად და სამ აბაზ უზალთუნადაც. ამავე თვეში ჩვენს ბაზრებში ჩამოუტანიათ 3,310 ურემი შეშა და თითო ურემი გაყიდულა სამიდამ ხუთ მანათამდე. სხვილ-ფეხი საქონელი ჩამოურეკნიათ სულ 3,290 ცალი, რომლიდგანაც გაყიდულა მხოლოდ 2,005 ცალი. თითო ამ ნაირი საქონელი იყიდებოდა ოც-და-ოთხ მანათიდამ ხუთ თუმან ნახევრამდე. ცხვარი ჩამოურეკნიათ სულ 8,240 ცალი, რომლიდგანაც გაუყიდნიათ 5,810 ცალი. თითო ცხვარი იყიდებოდა სამ მანათიდამ ხუთ და ათ შაურამდე. საქონლის საჭმელი ბალახი იყიდებოდა ერთ აბაზიდამ ექვს შაურამდე.

*** ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში შევატყობინეთ ჩვენს მკითხველებს, რომ ტფილისში აღმოუჩენიათ ყალბი სამ-მანეთიანები ძველის ყაიდისაო. ამ ყალბ ფულს უზის „1884“ წელი და კარგს ფულზე ცოტა თხელია. ნომერი ამ ყალბ ფულისა 748,682-კი არ არის, არამედ 748,582. ამ დღეებში ორი ამ ნაირი ბილეთი პოლიციას ოსიპოვის მაღაზიაში უპოვნია და ერთიც ქარვასლაში.

*** ორშაბათს, ამ თვის 3-ს, გასინჯა მესამედ ქალაქის ტეხნიკმა, ტფილისის საგუბერნიო მმართველობის ხუროთ-მოძღვარმა და პოლიციამ ახალი შენობა ამიერ-კავკასიის დედათა ინტიტუტისა, სადაც ჩაინგრა წარსულის თთვის გასულს სარდაფი და თან ჩაიყოლა ხუთი კაცი, რომელთაგანაც ორმა იმავ წამს სული განუტევა. ამ მესამე გასინჯვაზე აღმოაჩინეს, რომ აქ სარდაფი სრულიად არა ყოფილა, რადგანაც ჩაქცეულს შენობას, რომელსაც ორი საჟენი სიგრძე, ერთი საჟენი სიგანე და ხუთ არშინამდე სიმაღლე აქვს, ვერ უპოვნეს ვერსაიდგან გზა. გადასწყვიტეს, რომ აქ რაღაც სამალავი ყოფილაო.

*** სიცხეები დაიჭირა ტფილისში, მაგრამ ჩვენი ყასბები მაინც თავისას არ იშლიან—გამოუკიდნიათ ცხვრისა თუ ძროხის ხორცი თავიანთ დუქნებში ჰუქყიან კაჩოებზე და ამ ქალაქ-უწყალო დღე ასხედს ზედ უთვალავი ბუზი. ამისთანა სიცხეში ერთი საათიც-კი საკმარისია ხორცი დაუხურავი იყოს, რომ ჩაიმსხნილოს, და აბა დილიდამ საღამომდე რა დღე დაადგება, მეტადრე თუ იმავ დღეს ვერ გაიყიდა და მეორე დღისათვის დარჩა! ურიგოს არ იზამდა ქალაქის გამგეობა, რომ, თუ თითონ ვერ მოუხერხებია, თავის მოხელეთა სიმცირით, აუკრძალოს დაუხურავ ხორცეულობის გამოკიდვა, პოლიციას მაინც დაავალოს ეს საქმე ზაფხულობითა და სხვა დროს კიდევ ჯანი გავარდეს ამისთანა უწესოებას ყასბებისას—ქალაქელებს თვალი შეჩვეული აქვთ და არ ეჩოთირებათ ხორცის დუქნის წინ გავლა. მაგრამ ზაფხულში, როცა ასე უცებ ფუჭდება ხორცეულობა, მოქალაქეთა ჯან-მრთელობა მოითხოვს, რომ ნება არა ჰქონდეთ ყასბებს დაუფარებელი ხორცი გამოჰკიდონ.

*** კნ. მარიამ გახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავმჯდომარე ქალთა განყოფილებისა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების კომიტეტისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, გულითადს მადლობას უცხადებს იმ შემოწირულობისათვის, რომელიც მიიღო სათანხოდ ქალების მომავალ ქართულ სკოლისათვის: ა) „წერა-კითხვის საზოგადოებას“, რომელმაც უნაწილა ფულად ლატარია-ალეგრისა და დიდ-მარხვაში გამართულ კონცერტის შემოსავლიდგან 398 მან.; ბ) კნეინა თავდგირიძისას, რომელმაც ქ. ფოთში კონცერტი გამართა და ამისი შემოსავალი—71 მან. 73 კაპ. გამოგზავნა, და გ) ბათუმის საზოგადოებას, რომელმაც უნაწილა 30 მან. იქ გამართულ წარმოდგენიდგან.

*** წელს ქუთაისის თავად-აზნაურობამ უკანასკნელს ბანკის კრებაზე აირჩია კომისია, რომელმაც, გუბერნიის ახალის მარშლის თავმჯდომარეობით, შემდეგი საგანი უნდა გამოირკვიოს: სათავად-აზნაურო სკოლის პროგრამა ძველივე უნდა დარჩეს, თუ ეგ სკოლა სხვა გვარ სასწავლებლად უნდა იქმნას გადაკეთებული. ამ საქმეს, თავად-აზნაურთა დადგენილების ძალით, კომისია მაშინ უნდა შეუდგეს, როცა ახალი მარშალი იქნება დამტკიცებული. როგორც ჰხედავს მკითხველი, თავად-აზნაურობას განზრახვა ჰქონია თავისი შინაური საოჯახო საქმე საკუთარისავე ძალღონით გამოარკვიოს.

ეხლა-კი, როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდგან, წინანდელს წარმომადგენელს თავად-აზნაურობისას ქუთაისის გუბერნატორისაგან წინადადება მოსვლია იმის შესახებ, რომ კომისია შეკრბეს და გამოირკვიოს დავალებული საგანიო. კომისია, ბ-ნ გუბერნატორის მიწვევით, წარსულს კვირას უნდა შეკრებილიყო.

*** **სამტრედია**: ამ თვის 2, შუადღისას, შემდეგი უბედურება მომხდარა: ერთი თერძი და ერთიც დალაქი მივიდნენ თურმე მელვინესთან და ღვინო მოსთხოვეს. მელვინემ თხოვნა აუსრულა მუშტრებს და თითონაც მათთან ერთად შეექცა ღვინოს. ღვინის სმასაც მორჩნენ, მელვინემ ხვედრი ფული მოსთხოვა ორივეს და თავისი შესახვედრი-კი არ გამოირიცხა. ამის გამო მოუვიდათ ლაპარაკი, ლაპარაკი ჩხუბად გადაიქცა და მელვინემ ყასბის დანა დასცა თერძსა და ძლიერ დასჭრა. დალაქი-კი გადურჩა. პოლიცია იმ წამსვე შეუდგა საქმის გამოძიებას.

*** **ნოვოროსსიისკი**: ძალა-უნებურად მომიხდა რამდენიმე დღე აქ გაჩერება. მომწყინდა უცხო ქალაქში ყოფნა და მოვინდომე აქაურის ქართველების

## ფელეტონი

### ფშავეთი და ფშავლები

(შემდეგი*)

თემობა და თემების ერთმანეთთან დამოკიდებულება.

ფშავები განიყოფებიან თორმეტ თემად, სახელდობრ: უკანა ფშავლები, გაბიდაურები, გოგოლაურები, ჭიჩოელები, ჩარგალელები, ახადელები, ქისტაურები, მათურელები, წოწკურაულები, უძილაურები, ტურანი და მისრიანი. როგორც ზევით არის ნათქვამი, ძველ დროში თითოეული თემი შეადგენდა თითო სოფელს, შემდეგ გამრავლდნენ და ყველა თემმა რამდენ-რამდენიმე სოფელი გააშენა. შემდეგ საერთო სოფლიდგან გადასახლებიია თემს იმავ სოფლის სახელი დაერქვა და შერჩა დღეს აქამომდე, მაგალითად: გოგოლაურების თემი სოფელ გოგოლაურთიდგან გამრავლებულა, ახადელებისა სოფელ ახადიდან, ჭიჩოელებისა სოფელ ჭიჩოდან და სხ... სულ ორი, თუ სამი თემია, რომელსაც ძველი სათემო სოფლის სახელი არ შერჩენია დღემდე. ყველა თემი ფშავის ხევის მკვიდრად და მფლობელად ითვლება, იქა აქვს ყველას თავისი თემის სალოცავი. ყველა თემის სალოცავის მლოცველს—„ყმას“—ფშავის ხევის მიწა-წყალში წილი აქვს და ამას ვერ გამოსწირავს ვერც თვით ფშავის ხევის დღევანდელი მკვიდრი მცხოვრები და ვერც ვინ სხვა. ფშავის ხევიდგან გადასახლებულ ფშაველს თან მარტო სოფლის მფარველი ანგელოზი—„ადგილის დედა“ წაჰყოლია; ფშავლების საერთო და სათემო სალოცავები-კი ფშავის ხევში ადგილ-უცვლელად დარჩენილან, რის გამოც ფშავლის ყველა თემის წევრი მოვალეა ფშავის ხევში სალოცავად იაროს და იმასთან კავშირი და მისვლა-მოსვლა არ შესწყვიტოს.

ფშაველი დარწმუნებულია, რომ ფშავის ხევის გარდა ვერც ერთი კუთხე ქვეყნისა დედამიწის ზურგზედ ვერ შეედრება სიწმინდითა და მადლიანობით იერუსალიმს. ამისთვის იგი ხშირად ამბობს ხოლმე: ფშავის ხევსავით წმინდა და მადლიანი დედამიწის ზურგის არც ერთი კუნჭული არ არისო.

ფშავლის ყველა თემს საკუთრად სიკარგის ან სიცუდის სახელი აქვს სხვა თემებში დავარდნილი, რომელიც ხუმრობის ან კამათობის დროს სასაყვედუროს ანუ დასაკვეხებელ მასალას შეადგენს თავ-მოყვარე ფშავლისთვის. ყველასა ჰყავს თავისი თემის ავი და კარგი გმირი, ომში ან ვაჟკაცობით, ან ლაჩრობით სახელგანთქმული, რომელსაც უსახელებია, ან შეურცხვენია თავისი თემი. ყველა ესენი ზღაპრულად თქმით ანუ ლექსით მოიხსენიებიან ფშავლების საზოგადოებაში, მაგალითად, ქორწილში, ან ხატობაში, სადაც რამდენისამე თემის ხალხი ერთად თავ-მოყრილია.

თვით თემს ერთმანეთში განწყობილება ნათესაური აქვს. როგორც ზევითაც არის ნათქვამი, ყველა თემს თავ-თავისი სათემო სალოცავი აქვს და თემი ამ სალოცავის „ყმად“ ითვლება. სათემო ხატი თემის წევრებს ნათესაობით საწინააღმდეგო კავშირის ნებას არ აძლევს, „ხატს ეს არ მაუდისო“ (ჩვეულებად არა აქვს). არამც თუ ქალებს არ ათხოვებენ ფშავლები თავ-თავიანთ თემში, თავისის თემის წევრების ქვრივებთან და დისწულებთან ქორწინებაც-კი ზოგიერთ თემში სასტიკად აღკრძალულია, თუნდა ქორწინებას არც სულიერი და არც ხორციელი ნათესაობა არ უშლიდეს. მაგალითად, ახადელების თემის კაცს ნება არა აქვს ახადელივე კაცის ქვრივთან და ახადელ ქალის ქალთან ქორწინებისა. მიზეზი ამისიც ისევ ის არის, რომ „ხატი“ (თემის სალოცავი) ნებას არ აძლევს. უკანაფშაველს-კი ნება აქვს თავის თემის წევრის ქვრივთან კორწინებისა, თუ მიცვალებული მეუღლე ქვრივისა ან თვით «საცოლ-საქმრონი» ერთმანეთის ნათესავები არ არიან. როგორც უკანა-ფშავლები ამბობენ, იმათი ხატი პირ-იქით იმასა სცდილობს, რომ თავის „ყმის“ ქვრივი არ გამოსწიროს თავის ყმათა და მათ შორისვე დააბინაოს იგი ხელ-ახლად. ჭიჩოელ თემის წევრს ნება აქვს ჭიჩოელ ქალის შვილებთან ქორწინებისა და თუ ნათესაობამ არ დააბრკოლა, თემობით სიახლოვე-კი არ დააბრკოლებს.

ქალის გათხოვება თავისსავე თემში თავის ხატის „ყმაზედ“ ყოვლად შეუძლებელია. ამის მაგალითი ფშავში ჯერ არ მომხდარა, ეს ხალხში მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, იმ ნაირ დანაშაულობისათვის, როგორც უმაგალითოსათვის, ფშავლის სამართალს ცალკე სასჯელი არ დაუწესებია. ფშავლის აზრით იგი ეკუთვნის უუმძიმეს დანაშაულობათა ჯგუფს, ხატის, თემის ღალატს, რჯულის შებღალვას.

ერთ თემიდან მეორეში გადასვლა ფშავლებში შეუძლებელია, ესეც თემისა და თემის სალოცავის ღალატად ჩაითვლება, გარეშე კაცს-კი (არა ფშაველს) შეუძლიან რომელსამე თემში ჩაირიცხოს. ახალმა თემის წევრმა მსხვერპლი უნდა შესწიროს იმ თემის სალოცავს, რომელშიაც ჩარიცხვას აპირებს, და საჯაროდ უნდა დაიფიცოს თემისა და მისის სალოცავის ერთგულება. ამას შემდეგ თემის ახალმა წევრმა უნდა იკისროს ყველა სამსახური თემის ხატისა და ყველა ფშავლების საერთო სალოცავები-

*) იხ. „ივერია“, № 138.

გაცნობა. ვკითხე ჩემს მეზობელს რუსს: აქ ქართველი ხომ არავინ სცხოვრობს-მეთქი. თუმცა მან ჰო მითხრა, მაგრამ მე მაინც იმის ნათქვამზე ეჭვი ავიღე, რადგანაც გამოცდილებით ვიცი, რომ ჩრდილო-კავკასიაში რუსები, კალმიკსა და ებრაელს გარდა, ყველას: სომეხს, სპარსს, თათარსა და მთიულსაც განურჩევლად ქართველს უწოდებენ. ჩემმა ახალმა ნაცნობმა მიჩვენა ქართველების სახლები და მამულები. მართლაც, ქართველები აქ ბლომადა ყოფილან, უფრო ქუთათურები და ხონელები, რომელთაც ვაჭრობის შნო აქვსთ და ამ მხრით უკან არავის არ ჩამოუვარდებიან. ქართველებს ნოვოროსიისკში ღვინის ვაჭრობა დაუსაკუთრებიათ და ამ საქმეს რიგიანადაც აწარმოებენ. ზოგს მათგანს ძვირფასი მამულებიც შეუძენია. მივიკითხ-მოვიკითხე და მითხრეს, რომ ქართულს გაზეთს მარტო ჩვენებური ფერშალი იწერს და ისიც ძალიან მოშორებით სცხოვრობსო. ამიტომ საქართველოს ამბებს ბათუმელ ქართველებისაგან ვტყობულობთო. ერთმა ქართველმა თავის გასამართლებლად სთქვა: გაზეთი „დროება“ რომ იყოვო, იმას-კი ვიწერდით და ნოვოროსიისკში რამდენიმე ცალი მოგვდიოდაო იგი ცხრა მანათი ღირდაო. მარტო ნოვოროსიისკში-კი არა, არამედ ყველა შავის ზღვის რუსის ნავთსადგურში და ჩრდილო-კავკასიის ბევრს სტანიცაშიაც მრავალი ქართველი იპოვება მამულსა და ნათესაობას მოშორებული. ამ გარემოებაში მყოფი კაცი ხშირად ქსუვდება და ნათესაური კავშირიც უსუსტდება ნელ-ნელა და თანდათან. ამ ქართველობას საკუთარი მღვდელი არა ჰყავს და არც საკუთარი ეკკლესია აქვთ. რუსის ეკკლესიაში იშვიათად დადიან, რადგანაც წირვა-ლოცვა არ ესმისთ. უეკკლესიოდ-კი იმათ შორის ერთობა და კავშირი ყოვლად მოუხერხებელია.

ნოვოროსიისკი დღეობით-კი არა, საათობით იზრდება და შავის ზღვის რუსის ნავთ-სადგურებში, თუ მეორე არა, მესამე ადგილს მაინც დაიჭერს ახლო მომავალში. აზოვის ნავთსადგურებს ისე დასცემს, როგორც ბათუმმა დასცა ფოთი. ამისი მიზეზია რკინის გზა, რომლის ვაგზალი რამდენსამე ვერსზე ახლავს ქალაქს. ამ ახალ რკინის გზის არე-მარე ნოვოროსიისკიდგან ეკატერინოდარამდე კაი სანახავია და ძალიან მოღლილიც რომ ბრძანდებოდეთ, თვალს მაინც ვერ მოაშორებთ.

## წერილი სიღნაღის მაზრიდან

წინა წერილში მოხსენებული საერთო ტყის შენახვა, სარგებლობის წესი და რიგი მეპატრონეებმა აფურჩქნეს და მცირეს ხნით ჩამოვარდნილი სიმშვიდე-რიგიანობა თითქმის რომ სამუდამოდ განდევნეს, როგორც მეტი რამ ბარგი კერძოდ წინამხრისთვის და საზოგადოდ სიღნაღის მაზრისათვის. მართალია, ტყის ერთობილის თანხმობით შენახვა-სარგებლობის განაჩენში ერთი რამ არის, რაიცა მეპატრონეთ არაფრად ესიამოვნათ, სახელდობრ თითოეულ მეპატრონის საკუთარ საჭიროებისათვის საზოგადო მამულით უფასოდ სარგებლობის განსაზღვრა, მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ ისევ ეს დანაკლისი მოენელებინა საზოგადოებას უფრო ბევრითა სჯობდა დღევანდელს იმის ყოფა-მდგომარეობას... დაიშალა პირ-შეკრულობა, აირია მონასტერიც... მამულის მეპატრონეთა შორის ჩამოვარდა დასწრება - ტაციობითი მამულით სარგებლობა. სიღნაღის მაზრის გლეხი ძნელად თუ გვერდს აუქცევს გაღმა მხრის მამულს და ამიტომ ძალა-უნებურად ისევ მამულის რომელსამე პატრონთან მიდის, იღებს საჭირო ბილეთს, აძლევს შესაფერს ფასს და მიდის ტყეში სამუშაოდ... მიდის, მაგრამ ვაი ამ წასვლას... ყოვლად შეუძლებელია ისეთი ხამი იყოს, რომ ან თავის თავზე არ გამოეცადნოს, ან ღამწრე არ ყოფილიყოს იმ ყოვლად სისაძაგლისა, რაც-კი ხშირად თანა სდევს კერძო მეპატრონისაგან საზოგადო მამულში სამუშაო ბილეთს... ასე თუ ისე, მაინც მეტი ღონე არ არის, მიდის ბილეთის ამღები ტყეში, მუშაობს ერთი თუ ორი კვირა და ვადის გასვლის უმალ მოაქვს ურმები ნამუშავრის წასაღებად. აი აქ იწყება სხვის სისხლ-ოფლით ნამუშავრის სარგებლობა და მითვისება. თუ ნამუშავარი კარგია, ძნელად-ღა მოასწრობს ურმებისთვის წასული პატრონი თავის ნაშრომს დანიშნულს ადგილზე... მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე იგი მიაფარონ... ვინ? ეს ღმერთმა უწყის... განა პირველ წერილში არა ვსთქვით, რომ ამ დალოცვილს მამულში ათი და ოცი ჯურა ხალხი ირევაო... მოდით თქვენ და ამ არეულს ხალხში ნიშნეულად დაადეთ ხელი, თუ ასე უსინდისოდ ვინა სარგებლობს სხვის შრომა-ჯაფით...

მხოლოდ ეს სენი რომ სჭირდეს კერძო ბილეთით სარგებლობას, კიდევ არა უშავდა-რა, რადგან ამას ადვილად მოევლება. ყრაულს უყენებენ ნამუშავარს, რაკი ერთხელ მაინც იმწვენევენ ხოლმე, რომ უპატრონო ეკკლესიას... (მერე ტყეში) ყვავები ეპატრონებიანო. უბედურება ის არის, რომ ნამუშავარს, შინ მიტანამდე-კი არა, საქმეში მოხმარებამდე განსაცდელი თანა სდევს. მოაქვს გლეხს ნამუშავარი, ტყეშივე ჰხვდება მამულის მეპატრონე (რასაკვირველია, ის არა, რომელმაც ბილეთი მისცა), უდგება გზაზე და სთხოვს ბილეთს... ბილეთს დაჰხედავს მეპატრონე... თუ კარგს განწყობაშია (რაც ძლიერ იშვიათია) ბილეთის მიმცემთან, გაუშვებს ურემს, და თუ არა... იკადრე, ნამუშავრის პატრონო, ფული უგრილო წინ დახვედრილს... ვსთქვათ პირველი შეხვედრილი დააკმაყოფილა მეურმემ... არ გამოსცილებია ჯერ კიდევ ტყეს, რომ მეორე მამულის მეპატრონე ელობება წინ... მცირე ხნის შემდეგ მესამე, მეოთხე და ამ რიგად, სანამ სოფელში ამოიტანს ნამუშავარს, ვინ იცის რამდენი ცრუ დამავენე არ შეეფეთება წინ... მოდი შენცა და ყველა დააკმაყოფილე... რასაკვირველია, გლეხ-კაცს ძალიან ხშირად ერთის დაკმაყოფილებაც უჭირს. მაშ თუ ასეა, საქონელზე, იარაღზე და თვით ნამუშავარზე უნდა აიღოს ხელი... ასეა სურვილი მამულის მეპატრონესი. საუბედუროდ, ყოველთვის არა სრულდება ყველა ჩვენი და კერძოდ გაღმა მხრის მეპატრონის სურვილიცა და შეუსრულებლობას უსიამოვნება დაერთვის ხოლმე. მამულის მეპატრონე ძალას მიიტანს მაშინათვე, რაკი გლეხი უარზე დადგება... ძალა ძალას გამოიწვევს ხოლმე და ხდება უბედურება... სიტყვას ხელი მოსდევს, ხელს—კეტი, კეტს—ხანჯალი... გამარჯვებული ვინცა რჩება ამ მუშტ-კეტების კრივში, რასაკვირველია, იგი ღიმილით განაგრძობს ხოლმე თავის გზას.

ამ გვარმა არა-იშვიათმა შეტაკებამ თავადთა და გლეხთა შორის მეტად არა-სასიამოვნო შედეგი იქონია. დღეს ჩვენში მეტად დაქვეითებულია თავად-აზნაურობის მნიშვნელობა... გლეხი ისეთის ნდობის თვალით, ისეთისავე პატივისცემით არ ეპყრობა, როგორც წინად უყურებდა. თავად-აზნაურობა იყო და უნდა იყოს კიდეც მეთაური ყველგან და ნამეტნავად სოფლად. მაგრამ, საუბედუროდ, საკუთარის უგერგილობით ისე არიან აქ დღეს დაქვეითებულნი, რომ, მეთაურობა-კი არა, ყოველ გვარი მოქმედება რაიმე საზოგადო საქმეში მათთვის ოცნებად არის გამხდარი... თავად-აზნაურობა თავის მნიშვნელობას მით უფრო აწვრილმანებს, და ჰქაქსავს, რომ ერთმანეთშიაც ერთობა ვერ შეუნახავთ: „ეგენი, თუ კარგი ხალხნი იყვნენ, ერთმანეთის მტრები არ იქნებოდნენო და თუ თავის თავისთვის ვერ მოუვლიათ, ჩვენ რა სიკეთე უნდა დაგვაყარონო“, გესმის ხშირად და გულს ცეცხლი გედება. როგორ, განა ისე გაითელა მათი წარსული და დიდებული მამა-პაპათა სახელი, რომ დღეს ურარაო შეიქნა? გული გწყვის, სწუხარ, მაგრამ რას იზამ, რომ საქმე ნამდვილად ასეა...

ან განა შესაძლოა რაიმე სიკეთე იქ, სადაც შემდეგს სურათებს არა იშვიათად ჰხედავ: გაზაფხულზე, წესისა და რიგისამებრ, მამულის მეპატრონეები იკრიბებიან ერთად, იყოფებიან დას-დასად და გადიან მამულში საბალახოს ასაღებად. აქ დატრიალდებიან გულადად, რადგან რიცხვითაც საკმარისად არიან და მძლებლებიცა ჰყავთ.. აიღებენ ყველასაგან საბალახოს... ეს არაფერი. საქმე საბალახოს აღება-კი არა, საქმე იმისი განაწილება... საქმე მიდგება განაწილებაზე და ღმერთმა გაშოროს, მკითხველო, იმ დროს იქ დასწრება. აღარ გაიგება აღარც მამა და აღარც ნათესავი. ატეხება განთქმული სოფლიურ ქალაქური ლანძღვა-თრევა, მუშტი, კეტი და, წარმოიდგინეთ, პირუტყვის პატივიანი ნიჩაბ-ორთითიც-კი დატრიალდება ხოლმე... ყველა ამას ჰხედავს გლეხი, ჰხედავს აგრეთვე, რომ შინ და გარეთ, სასოფლოზე თუ ოჯახში ყველგან და ყოველთვის მამულის მეპატრონეთ შუღლი და კიდევ შუღლი აქვთ და, რასაკვირველია, ამის დამნახავი ძნელად-ღა გაუცდის იმათ ახლოს.

ვიმეორებთ, ყველა ამას ძალით თუ ღვთის შეწევნით, როგორც იქნებოდა, მოინელებდა ადამიანი, რომ საერთო ტყეს ახალ-თაობის დამამახინჯებელი უნარი არ გამოუჩენია.. ჩვენსკენ იშვიათია საშუალო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულის თავად-აზნაურის შეხვედრა.. ეს მეტი ბარგი ყოფილა წინადაც თურმე და ეხლა ხომ თითქმის წერა-კითხვის ცოდნაც-კი მეტ ბარგად მიუჩნევიათ. როგორც ვიცით და გაგვეგია, ეხლანდელს დროში საზოგადოდ ყველა მშობელი, წოდების განურჩევლად, წამოიზრდება თუ არა შვილი, მაშინვე შეუდგება ხოლმე იმის ცდას, რომ რომელსამე რიგიანს სასწავლებელში მოათავსოს შვილი და ამითი იმისი მომავალი შეძლებისა დაგვარად მოაგვარ-მოაწყოს. ეს მშობლიური ცდა აქაც არის, ხოლო სხვა აზრითა და მიმართულებით კი. სხვაგან მშობელს ერთად-ერთ ცხოვრების სახსრად მიაჩნია სწავლა-განათლება, აქ-კი იმის მაგიერ ფიზიკური ღონე და საერთო მამულის ოსტატურ ექსპლოატაციის ცოდნა არის აღიარებული ერთ უსაჭიროეს თვისებად მოზარდ თაობისათვის. სწორედ ამიტომ წამოეზრდება თუ არა მამას ვაჟი, იგი სულ გაღმა მამულის ავ-კარგიანობასა და თავის დაჩაგვრა-გამარჯვებას ჩასძახის. ყმაწვილი ფრინველსავით ცისა და ჰაერის ანაბარა იზდება. თვით იმაზე და გარშემო საზოგადოებაზეა დამოკიდებული, რა ხასიათის კაციც დადგება ყმაწვილი. ღვინის სმა უგონობამდე, უაზროდ ხეტიალი დღეობებში,—აი იმისი ხელო-

---

სა. თემთან „გაფიცვის“ შემდეგ ნება აღარა აქვს, რომ ფიცზე უარი სთქვას, თემის წევრობასა და ხატის ყმობაზე ხელი აიღოს, რადგანაც უარყოფა თემის სალოცავის და თვით თემის ღალატად ითვლება და ყველა სალოცავი, ფშაველის აზრით, ასეთს მოღალატეს სასტიკად დასჯის.

თემებში ძველადგანვე განთქმულია ჩარგალელების თემი მონადირეობით, გოგოლაურებისა—შაირობით და მოსწრებულის სიტყვა-პასუხით, ჭიჩოელებისა—ხვნა-თესვით, წოწკურაულებისა—სიბოროტით (მუცელ-გველიანებს უძახიან იმათ სხვა თემის ფშავლები), უკანა-ფშაველი.—სიცეტით, გაბიდაურისა-გულ-გრილობით, მათურელებისა — სიმამაცით, ქისტაური—სილამაზით, უძილაური—სისასტიკით, მეჩხუბრობით და სხ.

ფშავლები თავს ფშავლებსავე უწოდებენ და აღიარებენ თავიანთ თავს ქართველ ტომის ხალხად, ქართველების მონათესავედ. თავის თავისა და თავის სამშობლოს ბედ-იღბალს ფშაველი უკავშირებს მთლად საქართველოსას. თუმცა ზოგიერთ ქართველ ფეოდალთან თავისუფლებისთვის ბრძოლაში ფშავლებს ბევრი სისხლი დაუღვრიათ და ბევრი შავი დღე გამოუვლიათ, მაგრამ ბარის ქართველთან იმათი ძმური კავშირი ამ სამწუხარო მოვლენას ვერ შეურყევია. როგორც ფშავლის ყველა თემებ შორის, ისე სხვა მოსაზღვრეებთან დანათესავება ფშავლის ჩვეულებით აღკრძალული არ არის.

კაცის მკვლელობის საქმე, როგორც ყველა მთის ხალხებში, ისე ფშავლებშიც თავდებოდა „სისხლის-ძიებით“, ან „კაცის თავის ზღვით“; კაცის კვლის საქმე მტრობას გამოიწვევდა მხოლოდ მოკლულისა და მომკვლელის საგვარეულოს შორის; თემი საზოგადოდ ამ შემთხვევაში არ ერეოდა; თემებს შორის განხეთქილებას მხოლოდ საადგილ-მამულო დავა გამოიწვევდა.

### სახლი და იმისი მოწყობილობა

ფშაველი სახლს აშენებს ქვისას, მომეტებულ ნაწილად უკიროდ. ძალაროს კარის საზოგადოებაში ქვითკირის სახლი იშვიათია, შუა-ფხოს საზოგადოებაში თითქმის სულ არ აშენებენ ქვითკირის სახლებს; არტნის საზოგადოებაში-კი მომეტებული ნაწილი სახლებისა და სხვა შენობებისა ქვითკირით ნაშენებია, შუა-ფხოს საზოგადოებაში სახლების კედლებს ცარიელ ქვისას (ყორე) აშენებენ უკიროდ. იმ საზოგადოებაში უკიროდ ქვის კედლის აშენება ადვილად მოსახერხებელია, რადგან იქაური ქვა ბუნებითვე ისეთი სწორ-გვერდებიანი და კუთხებიანია, რომ შეუჩვეველ კაცის თვალს განგებ კაცის ხელით გათლილი ეგონება; ქვის ამ ნაირი ღირსება მცხოვრებლებს შეღავათს აძლევს; უამისოდ სახლისთვის ქვის კედლების აშენება ძნელი მოსახერხებელი იქნებოდა ფშავის-ხეველ კაცისათვის, რადგანაც იქ საკირედ გამოსადეგი ქვა სრულიად არ მოიპოვება.

საზოგადოდ ფშაური სახლი მოგძელოა, ოთხ-კუთხიანი. სახლის კედლები სიმაღლით ორი ადლ-ნახევარი, ან ცოტა მეტ-ნაკლებია. სახლს სიგანეზედ (გარდი-გარდმო) ორი დიდი კოჭი უდევს და ამ კოჭებს «თავ-ხეს» უწოდებენ. თავ-ხეები ჯალაბობის სამყოფს, კერა-საცეცხლურს ერთი ზევით უდევს და მეორე ქვევით. თავ-ხეებზედ წაწყობილებია წვრილი კოჭები, რომელსაც ფშავლები „შოლტებს“ უწოდებენ. შოლტებზე წაწყობილია ფიცრები, ფიცრებზედ ნაფოტი და ნაფოტზედ მიწაა წაყრილი. ნაფოტს აყრიან ფიცარს იმისთვის, რომ მიწა ფიცარს ადვილად და მალე ალპობს, ნაფოტი-კი აშორებს მიწას და ამ ნაირად მალე დაფუცუნებისგან იცავს. შუა-ფხოს საზოგადოებაში ფიცრის მაგიერ ხშირად ლასტებსაცა ჰხმარობენ სახლის გასასხვენელად. ამისი მიზეზი ის არის, რომ ამ საზოგადოებაში საფიცრედ გამოსადეგი სხვილი ხე ან სულ არ მოიპოვება, ან ძალიან ცოტა და ისიც შორს. შუა-ფხოს საზოგადოებაში მიწა ისეთის თვისებისაა, რომ ბანზედ დაყრილი და დაძეკილი წყალს არ უშვებს სახლში; ამის გამო იქაურ სახლების საფარი მარტო ვაკე ბანია. სხვა საზოგადოებებში-კი მიწა წყალს ვერ იჭერს და ამის გამო სახლების ბანებზედ საბძლებია მოშენებული, ყარტით, ან კრამიტით დახურული. სახლის ბანის შუა ადგილს და თავ-ბოლოს ბოძებია ჩადგმული, რომლებზედაც ხეა გადებული. ამ ხესა ჰქვიან კესი (ქართულად, საყვავე). კესზედ კავების თავებია დამაგრებული და ბოლოები დაყრდნობილია ბანის „სანაპიროზედ“, სიგრძის კუთხეებზედ. კავებზედ თხლად მოქსოვილ წნელის ლახტებია წნელითვე დაკრული (ფხანთი) და ფხანთზედ ყარტია დაწყობილი, რომელსაც იმაგრებს შიგ დატანებული და წნელით ჩაკრული ჯოხები „ლტანი“. „ყარტი“ ჰქვიან გაბერტყილს და მარცვალ-გამოცლილ გაულეწველ სვილას ძნას. ყარტსა ხმარობენ ფშავლები საბძლების დასახურავად ნაჭის მაგიერ. ყარტი საბძელზედ რიგზეა აღმა-დაღმა დაწყობილი, ამის გამო წყალს ადვილად იცურებს, ძირს არ უშვებს, შენობის მასალას არ აზიანებს და არც ისე მალ-მალე გამოცვლასა თხოულობს, როგორც, მაგალითად, ბარულ საბძლის სახურავი ნამჯა.

სახლის თავ-ხეების ბოლოები დამაგრებულებია სახლის სიგრძის კედლებზედ. უკანა თავ-ხეს სახლის შუა ადგილზე მიდგმული აქვს ერთი დიდი ბოძი, რომელსაც დედა-ბოძი ეწოდება. დედა-ბოძის წინ კერაა გამართული „საქცევი“ (ღირებული ფასი), ანუ „საბადლო“, „საფარდო“ (სამაგრო

ბა. ესეც ჩოთქში არ არის ჩასაგდები! საქმე სიმამაცე და სიყოჩაღეა მოზარდისა. საქმე ის არის, თუ რა ოსტატობას, რა ხერხსა და ღონეს გამოიჩენს, როცა წამოჩიტდება და გავა საერთო მამულში. უპირველესი საგანი ეს არის და ამის გარ'მე ქვა ქვაზე დაც რომ არ დარჩეს, სულ ერთია. „აბა, შვილო, მე მოვხუცდი, ეხლა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, როგორც მასახელებ“, ეუბნება მამა შვილს და ისტუმრებს გაღმა მამულში. მოდი და ნუ აგიმღვრევს გულს ეს სიტყვები. უწინ სწორედ ამ სიტყვებით ისტუმრებდა მშობელი შვილს იქ, საიდამაც საფრთხე მოელოდა სამშობლოს, და დღეს-კი იმავე სიტყვებით მოძმის წინაალმდეგ ისტუმრებს შვილს საშაროდ.

კმარა, სჯობს ამ ხელად ეს ვიკმაროთ. თუ რაიმე დაგვაკლდა და ჯეროვანად ვერ დავასურათეთ ნიშანში ამოღებული საგანი, ბოდიშს ვიხდით მკითხველთან. ვეცდებით არ დავივიწყოთ გაღმა მხარი, ვადევნოთ მას და იმის მეპატრონეთ თვალ-ყური და თუ რამ შეგვხვდა საგულისხმიერო, ვაცნობოთ ხოლმე მკითხველს.

ი. კახელი

## სიყვარული და ქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინისა

I

თავის ნებით განიდევნა ხალხმა თავი, მიურბოდა არა სასტიკს კანონებს, არამედ დასთა მალ-მომრეობას, მიდიოდნენ და დაბრუნების იმედიც აღარა ჰქონდათ, და თავისს ახალს საცხოვრებელში, იმ საცხოვრებელში, რომელსაც ჯერ ნათლად გამორკვეული საზღვრებიც არა ჰქონდა, თან მიჰყვანდათ და მიჰქონდათ თავისი ოჯახი, ქონება, მამა-პაპური ზნე და ჩვეულება. ამ ხალხს შემდეგ ამერიკელი ეწოდა. დასაწყისშივე გარემოებათა წყალობით და მარტოობის მეოხებით ქალი მხარში უდგა ქმარს, მამას, თუ სხვას, და იმის თანასწორი და თანაბარიც იყო და არა ხელქვეითი, როგორც ევროპაშია, სადაც ქალი, მამის ბატონობას რომ მორჩება, ახლა ქმრის შეუბრალებელს ხელში ვარდება და ახლა აქ უნდა აიტანოს უწინდელზედ არა ნაკლები მონობა. აქ, ამერიკაში, იგი სასარგებლო იყო, იმდენადვე საჭირო საერთო საქმისათვის, რამდენადაც მამაკაცი, და ამის წყალობით იმისთანისავე უფლებითაც სარგებლობს. თუ ეს უფლება კანონში არ არის გარკვევით აღნიშნული, მხოლოდ იმიტომ, რომ არც არის ამას მოწადინებული და, ამას გარდა, ყოველ გარკვევით აღნიშნულს უფლებას გარკვეული საზღვრებიცა აქვს. უმაწვილობისასვე ქალისათვის ამერიკაში ყველა სასწავლებელი ღიაა, ხოლო ცოტა წამოიზრდება თუ არა, ეს სუსტი და მშვენიერი არსება ამხანაგებს გაიხდის ხოლმე თაყვანის-მცემლებად და მფარველებად. უმაწვილ-ქალობას იგი თავისსავე თავს ეკუთვნის, არავის ექვემდებარება. დედაკაცობისას-კი, თუ ქმარი არ მოეწონა, შეუძლიან განექორწინოს და თავი გაინთავისუფლოს უსიამოვნო ბორკილისაგან.

საზოგადოებრივი აზრი თვალ-ყურს ადევნებს ქალსა და ჰმფარველობს კიდეც. მხოლოდ იგი არა კმაყოფილდება ამ თანასწორობითა და თავისუფლებით და უფრო მეტი უნდა. ის გარემოება და დროთა ვითარება, რის მეოხებითაც ამერიკელი ქალი თავისუფალია, პატივის-მოყვარეობასაც უღვიძებს. წელიწადი გადის, დრო ილევა, კეთილდღეობა კაცობრიობისა უფრო და უფრო მატულობს და განათლება ყველგან ეფინება.

წრე მოღვაწეობისა რამდენადაც ფართოა, იმდენად კაცი უფრო მეტსა ჰმუშაობს და ჰშრომობს, ქალი უფრო ნაკლებს. ეხლა იგი უკვე განთავისუფლებულია მძიმის მუშაობისაგან, თავისის დედისა და ბებიისამებრ ამერიკელი ქალი იძულებული აღარ არის ცომი მოზილოს და პური გამოაცხოს, ტანისამოსი ჰკეროს, ერთის სიტყვით, მოსამსახურის ჯაფა აიტანოს. ეხლა დრო აქვს გონება გაინათლოს, ცოდნა შეიძინოს, და ამ მხრივ ჰმეფობს კიდეც, რადგან მამაკაცი, დასტოვებს თუ არა სასწავლებელს, იძულებულია იმუშაოს და შრომის ოფლი ჰღვაროს. ქალის სილამაზეს ემატება განათლებულობა, ცოდნა და ამიტომ ამითი აღემატება კიდეც იგი არა თავისს სქესისას.

მამაკაცი დაუღალავად ჰშრომობს და ამ შრომით დაჯილდოებულია კიდეც, ხოლო შრომა დროს ართმევს და ვეღარც ოჯახისთვის იცლის, ვეღარც სწავლისა და ცოდნის შესაძენად. იმას ფულის მოგების უნარი აქვს, მაგრამ ხარჯვისა-კი არა, ისე ვერა ჰსიამოვნებს თავის მონაგებით, როგორც შეუძლიან. ქალი-კი დახელოვნებულია ამ სიამოვნების საქმეში და ჰპატრონობს და უვლის კიდეც თავისს ქმარს. ქმარი თუ ფულს იგებს, ცოლი ჰხარჯავს, ცოლი აგებინებს ქმარს ფულს, აქეზებს, თითონ-კი სარგებლობს თავისუფალის დროთი, და ქმარიც ცოლს ისე სცემს პატივს, როგორც თავისზე გონიერს, თავისზე მცოდინარე ადამიანს.

ქალს ეს ყოვლად ძლიერება თავს ბრუსა ჰხვევს, მით უმეტეს, რომ ყველანი იმასა სცემენ თაყვანს, და ამიტომ ჟინიანობს კიდეც. ქალმა იცის, რომ ყველანი პატივსა მცემენ, ყველა მამაკაცი ჩემი მფარველია და რომ ვსთხოვო რამე, ყველა სიამოვნებით ამისრულებსო, და ამიტომ თევზსავით დაცურაობს თაყვანის-ცემის მორევში და თავისის მდგომარეობით სარგებლობს კიდეც. ვინც ერთხელაც არის ნიუ-იორკში ყოფილა, უეჭველია ჰნახავდა იმისთანა ამბავს, როგორსაც მოგვითხრობს ბარონი გიუბნერი: „მზიავარ ერთხელ ცხენის რკინის გზის ვაგონში. უეცრად მარაოთი დამკრა ხელზედ ვიღაცამ და ფიქრისაგან გამომარკვია. ავიხედე და ჩემ წინ ამაყად ამართული დედაკაცი იდგა და მათვალიერებდა თავიდამ ფეხამდე მაშინვე წამოვდექი და ამ დედაკაცმა დაიჭირა ჩემ მიერ დაცალიერებული ადგილი, დაიჭირა და არც ერთი ღიმილი, არც ერთი შემოხედვა-კი არ უღირსებია. მე-კი ფეხზედ ვიდექი, მეტად გაჭირებულს მდგომარეობაში ვიმყოფებოდი და დაბლაუშვებული ვიყავი იმ თოკზედ, რომელიც ვაგონის სიგრძეზეა გაბმული“.

ერთხელ ერთმა უმაწვილმა ქალმა ამ გვარადვე ადგილიდგან წამოაყენა თურმე თმა-ჭაღარა მოხუცი. როცა ეს ქალი ვაგონიდგან გადმოვიდა, ერთმა ვაგონში მყოფმა შესძახა: „ქალბატონო, რაღაცა დაგავიწყდათო“. ქალი საჩქაროდ დაბრუნდა და იმან უთხრა: „დაგავიწყდათ მადლობა გეთქვათ ამ ბატონისათვისაო“.

ამისთანა ამბავი ამერიკაში იშვიათი არ არის, მაგრამ, რასაკვირველია, აქედგან ის-კი არ გამოდის, ვითომ ყველა იქაური ქალი ასეთი იყოს. აი ასეთი საერთო პატივისცემა ქალს დამოუკიდებელსა ჰხდის და ამიტომ იქაურს ქალს მარტო შეუძლიან მგზავრობა თვით შორეულს ადგილებშიაც-კი. ისინი დარწმუნებულნი არიან, ყველგან პატივისცემით მოგვეპყრობიან და სამსახურს გაგვიწევენო, და სარგებლობენ კიდეც ამ სამსახურით, სარგებლობენ ისე, რომ მადლობასაც-კი არავის აღირსებენ ხოლმე.

## წვრილი ამბები

პარიჟში უკვე გაუთავებია თავისი კრება იმ კონგრესს, რომელსაც აზრად ჰქონდა გამოერკვია დედათა უფლებანი. აი რა გადაწყვეტილებას დასდგომიან კონგრესში მონაწილე ქალები: 1) კანონ-მდებლობის ის ნაწილი, რომელიც დედათა უფლებას შეეხება, სრულიად გადაკეთებულ იქმნას; 2) ქალებს ნება ჰქონდეთ ვექილობა შეისწავლონ და ივექილონ კიდეც; 3) გაუქმებულ იქმნას ის მუხლი კანონისა, რომელიც აღკრძალავს დევნას უკანონო ბავშვის მამისას; 4) დაიკეტოს პარიჟის სენლაზარის საპატიმრო; 5) მხოლოდ სერჟანტებს (და არა ყოფა-ქცევის მეთვალყურე პოლიციის აგენტებს) ჰქონდეთ უფლება უცხო-ქვეყნელ ქალების დაპატიმრებისა; 6) პარიჟის ყველა ნაწილში დაარსდეს თავ-შესაფარი; 7) ყოველ სასამართლოში საქველ-მოქმედო კანტორების მართვა-გამგეობა განსაკუთრებით ქალებსა ჰქონდეთ მიჩემებული; 8) მიმების გასინჯვა, შემოწმება და თვალ-ყურის დევნა ქალებს მიენდოთ ექიმ-ქალების ხელმძღვანელობით; 9) ქალების ხელ-საქმეს სასწავლებლებში უნდა ასწავლიდნენ და არა სახელოსნოებში; 10) მასწავლებელს კაცსაცა და ქალსაც ერთნაირი ჯამაგირი ეძლეოდეთ; 11) ყველა ქალებს უფლება ჰქონდეთ შეისწავლონ ყოველ გვარი ლიბერალური ხელობა და შეეძლოთ აგრეთვე გაჰმართონ სამკურნალო საზოგადოება, იურიდიული და სხვანი.

— ამერიკაში უკვე ქალებშიაც არიან მქადაგებელნი და მისიონერები, ხოლო ამ დრომდე არც ერთს დედაკაცს არა ჰქონია მინიჭებული ყოველივე უფლება მღვდლისა, რომ შესძლებოდა ჯვარ-წერისა და ნათლობის გადახდა და სხვანი. მხოლოდ ამას წინად ოგიოს შტატის მართებლობას გადაუწყვეტია, რომ მღვდლის ქალს ელლი რენკლის ყოველისავე სამღვდლო წესის კარდახდის უფლება მიენიჭოსო.

— ამ დღეებში სხვათა წერილთა და ამანათთა შორის გენერალ ბულანჟეს მიუღია საფრანგეთიდგან გამოგზავნილი ამანათი, რომელშიაც ყოფილა თოქმაჩად გაკეთებული ვერცხლის ყუთი. გენერალი დარწმუნებული იყო თურმე, რომ ამ ყუთს რომელიმე ჩემი თაყვანის-მცემელთაგანი მომართმევსო. როცა გენერალს ეს ყუთი გაუღია, გაკვირვებულა, რომ შეცდით. ყუთში გრძელი აბრეშუმის ბაწარი დებულა შემდეგ შინაარსიან ბარათითურთ: „წრე იმ ფრანგთა, რომელსაც რამდენიმე წელიწადი აღმოსავლეთში უცხოვრია, უგზავნის გენერალ ბულანჟეს აღმოსავლეთის საჩუქარს. თუ გენერალს მართლა უყვარს საფრანგეთი და იმის კეთილდღეობის მონატრულია, იმედია, უარს არ იტყვის, ისარგებლებს ამ საჩუქრით და, აღმოსავლეთის წესისამებრ, ამ აბრეშუმის ბაწრის შემწეობით გამგზავრება იმ ქვეყანას, რომ საფრანგეთის კეთილდღეობასა და ბედნიერებას ხელს აღარ უშლიდესო“... რაღა თქმა უნდა, რომ გენერალი ბულანჟე ამ კეთილის-მდომთა სურვილს არ განახორციელებს.

## დეპეშა

3 ივლისი

ვერნი მაზრებიდგან იუწყებიან, რომ მიწის-ძვრამ დააზიანა მრავალი სოფელი, სახლებიც დაანგრია და ოციოდე კაცი იმსხვერპლა. ქალაქი პრჟევალსკი ცოტაოდნივ დაზიანდა.

პარიჟი. გუშინ დაიწყო საერო დღესასწაული. ბულონის პარკში ჯარს აღლუმი ჰქონდა. აღლუმს დაესწრო პრეზიდენტი რესპუბლიკისა. საღამოს პარიჟი საუცხოვო სანახავი იყო. „თანხმობის მოედანზე“ დერულედს უნდოდა სიტყვის წარმოთქმა, თუმცა პოლიციამ აღუკრძალა, და ამიტომ პოლიციასთან უსიამოვნება მოუვიდათ.

ბელგრადი. ელჩს პერსიანოს ებოძა წმ. საბას ორდენი პირველის ხარისხისა. სეკრეტარს სომოვს იგივე

---

ნივთი მათთან თანასწორე ფასად დაფასებული).

სახლი ირგვლივ შემოღობილია წნელის ღობით, ანუ ჯინჯიბახ-ხარიხით; ეზოშივეა აშენებული გომური ზედ მიშენებულ საბძლითურთ. გომური პირუტყვისა და მებოსლე დედაკაცის საზამთრო თავ-შესაფარია; გომურთანა და საბძელთან ახლოა კალო და პურიან გოდრების დასადგმელი ქოხი—„საგოდრე“.

მე ავწერე ფშავლის ძველებური, მამა პაპური სახლი, რომლის მაგიერად ჩვენს დროში ზოგიერთ ადგილას ბუხრიანსა და ფანჯრიანს სახლს აშენებენ. ფშავლის ძველებური სახლი სრულიად არ შეეფერება კაცის ჰიგიენურს მოთხოვნილებას და ამისთვის იმის ხმარებიდგან გამოსვლა და მის მაგიერ უკეთესის სახლის შემოღება ფრიად საჭიროა ხალხისათვის, რომელიც, თუ დღეს ვერა, შემდეგში მაინც რიგიანს სახლსა და იმის რიგიანად მოწყობა-მოხმარებასაც შეეჩვევა. საზოგადოდ ფშაველი სუფთა ცხოვრებით ვერ შეედრება ვერც ბარის ქართველსა და ვერც წოვა-თუშსა, თუმცა-კი, ღვთის წინაშე, ხევსურს ამ მხრივ გაცილებითა სჯობია.

ანტროპოლოგიური ცნობები

აგებულებით მომეტებული ნაწილი ფშავლებისა, როგორც მამაკაცებისა, ისე დედაკაცებისა, ჯმუხია, ჩასხმული, შუათანა ტანისა, სხვილ მხარ-ბეჭიანი, თუმცა არც მაღალი. „სხარტი“, წერწეტის ტანის კაცი და დედაკაცი იშვიათად საპოვნელია მათში. ფშავლის ორივე სქესი მთის სუფთა ჰაერისა და სადა ცხოვრების მიჩვევის წყალობით ჯან-მთელია და ღონიერი, მარჯვედ ამტანი მძიმე შრომისა და ბუნების მრისხანებისა. როგორც მეტად ახმახი, «ხროხი» (დიდის ტანის) კაცი, ისე დაბალის, „ბაჩა“ ტანის კაცი მოიპოვება ფშავლებში, მაგრამ ეს უკიდურესობა ხშირი არ არის.

მამაკაცები უფრო შავგვრემანები და სვილის ფერები არიან, ვიდრე ქერები. დედაკაცების მომეტებულს ნაწილს თმა წაბლის ფერი აქვს და თვალ-წარბი შავი. ქერა და შავ-თმიანი დედაკაცები უფრო ნაკლებნი არიან. საზოგადოდ არაგვის ხეობაზედ ორ წყალს ქვევით მცხოვრებლები უფრო შავგვრემანები არიან. ფშავის-ხეველების (შუა-ფხოს საზოგადოების მცხოვრებთ) მომეტებულ ნაწილს ისევ შერჩენია ფშავლების ძველებური „სილეგლუგავე“.

ივრის ხეობის მცხოვრებლებში უფრო მომეტებული რიცხვი მოიპოვება ქერა და «თვალ-ჭრელ» ხალხისა, ვიდრე სხვაგან. ბრმობისა და კოჭლობის სიხშირე ფშავლებში არ არის. კოჭლები არიან უკანა-ფშავში არჩემაანთ გვარისები, ნაკვალევსავეში ბაიდოურები და იმათი ქალ-დის-წულები და მათი ჩამომავლობა გაბნეულია ფშავლის სხვა-და-სხვა თემებში.

მარლი იშვიათია ფშავლებში; მარლები მხოლოდ მინდოდაურების გვარში არიან ს. არტანში. ჭრელ-თვალა და შავ-თმა წვერიანი და აგრეთვე შავ-თვალა და ქერა თმა-წვერიანი კაცი ფშავლებში იშვიათი არ არის. თავ-შუბლისა, ცხვირისა და საზოგადოდ პირი-სახის მოყვანილობა ფშაველს ზომიერი აქვს. გარეგანის შეხედულობით იგი წააგავს უფრო ბარის ქართველს, ვიდრე სხვას რომელსამე თავის მეზობელ მთის ხალხს.

გავლა-გამოვლით, მიხვრა-მოხვრით ფშაველი დინჯია, აუჩქარებელი და დარბაისელი. „ცუნცრუკა“ სიარული და „ბანჭიაობა“ (აქეთ-იქით რწევით სიარული) უმართებულობად ითვლება. დედაკაცი დადის მსწრაფლისა და მოკლე ნაბიჯით; მამაკაცისაგან დედაკაცის მსგავსი ნაბიჯით სიარული სირცხვილია; სირცხვილია დედაკაცისთვისაც მამაკაცის მსგავსის ბიჯით სიარული, დედაკაცი უნდა დადიოდეს ფეხ-აკრეფით და არა «თათხვა-ბოტებით». პურის ჭამის დროს ფეხგაშლით დაჯდომა სირცხვილია ორივე სქესისთვის, თუ მამაკაცი ჩიკანზედ არა ზის. დედაკაცისაგან ჩიკანზედ დაჯდომა და იქიდგან ფეხების გადაშვებაც სირცხვილია; დედაკაცს ნება არა აქვს, რომ მამაკაცების საზოგადოებაში ფეხ-გაშლით დაჯდეს. წესიერად ჯდომას, გავლა-გამოვლას, და მიხვრა-მოხვრას ფშაველი ბავშობიდგანვე სწავლობს უფროსებისგან. 9—12—13 წლის ფშაველს ეს ჩვეულება კარგად უნდა ჰქონდეს შეთვისებული, წინაალმდეგ შემთხვევაში დასძრახავენ უფროსებსა და ბალღები გაუწვრთნელად ჩაითვლებიან. დედაკაცები და მამაკაცები, როგორც შინაურობაში, აგრეთვე უცხოსთანაც, თაჰამად უნდა იყვნენ. მეტი მოუცხვოპა და კრძალვა, პირის რიდება სიდამბლის ნიშანია, ფშაველის აზრით.

ფშაველის ტკბილი და მოსწრებული სიტყვა-პასუხი კაცის გულს უნებლიეთ მიიზიდავს. საზოგადოდ ფშაველი მჭევრ მეტყველობას ძვირად აფასებს და კაცის უსაჭიროეს იარაღად მიაჩნია ცხოვრებისათვის. კარგი, სიტყვა-პასუხის მქონე, „ენიანი“, „თავგზიანი“ კაცი და დედაკაცი ყველას მოსწონს; უენა-პირო, უსიტყვო კაცი-კი ითვლება „უთაურად“, აბუეტად. მჭევრ-მეტყველობას ფშავლებში თუმცა ბაზარი აქვს, მაგრამ საზღვარსა და განსხვავებას იგი მასშიაცა ჰპოულობს, ბევრის მოლაპარაკე, „ლაქლაქა“ კაციც არ მოსწონთ. კაცი ტყუილ-უბრალოზე სიტყვას არ უნდა ჰხარჯავდესო, ამბობს ფშაველი. ყბედს ხშირად ასე უსაყვედურებენ: „ყბედი ხარ... ენას ტარად აბიხარ, ყბედიც რომ არ იყო, თაგვები სოროში შეგათრევდნენო და სხვ...

(შემდეგი იქნება)

ორდენი ებოძა, ხოლო მესამე ხარისხისა.

რადგანაც მთებში ავაზაკები გამოჩნდნენ, მთავრობამ ხალხს დაუბრუნა იარაღი, რომელიც „ნაპრედნიაკების“ დასმა აჰყარა. ავაზაკებს ძალიან გულ მოდგინედ სდევენ. მართებლობის მოწინაამდეგე დასი და ავსტრიის მწერლობა მეტის-მეტად აზვიადებს ავაზაკთა რაოდენობას.

მილანმა სხვა დროისთვის გადასდო აქ ჩამოსვლა. იგი ჩამოვა ამ რამდენსამე დღეს შემდეგ.

ვენა. კერძო წყაროდგან ისმის, ვითომ ოსმალეთმა ახალ-ბაზარის ოლქაში შეჰკრიბა ოც-და-ათამდე ბატალიონი ქვეითის ჯარისა.

ზაგრებიდგან იუწყებიან, რომ იქ აღუკრძალავთ ხორვატიელი გაზეთი იმ წერილის გამო, რომელშიაც რუსეთი ნაქები იყო, ხოლო გერმანია გაკიცხული.

4 ივლისი

პეტერბურგი. გუშინ ჰელსინგფორსიდგან დაბრუნდნენ იახტა „თამარათი“ მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე.

ვენა. ცეტინიედგან იუწყებიან, რომ დიდს მთავარს პეტრე ნიკოლოზის ძეს ქალაქში დიდ-ძალი ხალხი მიეგებათ. მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლოზი მიეგება მისს უმაღლესობას ნეგუშიეში. როცა ქალაქს შებრძანდა, დიდს მთავარს მიართვეს პურ მარილი. დიდი მთავარი უპირველესად წავიდა ეკკლესიაში, სადაც სამღვდელოებამ გადაიხადა მცირე პარაკლისი, და შემდეგ დიდი მთავარი წავიდა სასახლეში, სადაც ელოდებოდა საცოლე, მთავრის ასული. დიდი მთავარი დაბინავდა ყარაგეორგიევიჩის სასახლეში საღამოს ქალაქი და იმისი მიდამო მშვენიერად იყო გაჩირაღდნებული. ხალხი დიდად გახარებულია.

პრაგიდგან იუწყებიან, რომ მლადოჩეხების კრებამ დაადგინა გაგზავნოს ოთხი დელეგატი მთავარ-მართებელს კრაუსთ. დელეგატებს მინდობილი აქვსთ, შეატყონ იმპერატორი ფრანც იოსები მართლა უკმაყოფილად არის თუ არა იმით, რომ დიდ-ძალი მლადოჩეხი იქმნა არჩეული სეიმში. აგრეთვე დელეგატებმა უნდა სთხოვონ მთავარ-მართებელს, რომ იმან შეატყობინოს უმაღლესს წრეებს მლადოჩეხების ერთგულობა.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 3/4 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 155 1/2 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 13 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 268 1/2 |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 244 1/2 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათი. | მოდის წამი. | გადის საათი. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 02 | 1 | 17 | რიონი . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა. . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წუთზედ.

ტფილისსა და სურამს შუა

| | დილით | | | | | საღამოთი | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი. . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | — | — | 50 | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |


# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| სამ გვარი სიყვარული, აკაკისა | „ | 30 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . . | „ | 30 |
| ვაზის ობი . . . . . . . . | „ | 10 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა 1 ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . . | „ | 15 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| მცხეთისტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა. . . . . . . . | „ | 25 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეგ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . . . | „ | 45 |

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქ რსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრძად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილის ქუჩა, ბექხანოვის სახლი, № 103.

(10—3)

მიხ. ალ. ნასიძე

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიისა, კორპუსისა, რეალურ და სამოქალაქო სასწავლებელთათვის. გარედამ მოსიარულე ყმაწვილები იხდიან თთვეში 10 მან., სახლში აყვანილნი—30 მანათს. მიხეილის ქუჩაზედ, კუკიაში, სახლი № 108 (50—3)

# ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ




СЕРЕБРЯНАЯ

А. А.




ЗОЛОТАЯ

# ТУТАЕВА.

Принимаются постройки, ремонты и **окраски** домовъ, крышъ, фасадовъ и пр. Имѣются въ продажѣ всевозможныя масляныя и сухія краски, **кисти масла** и пр. по фабричнымъ цѣнамъ. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ. Полнѣйшая **гарантія**.

Адресъ: Кузнецкая ул., ниже салдатскаго базара.

ვყიდი ყოველ ნაირ კრასკებს. ვიღებ სახლების აშენებას, შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას, როგორც ტფილისში, ისე სხვა ადგილებშიაც. აგრეთვე იგზავნება კრასკები ყველგან მოთხოვნილებისამებრ.

(48—42) ა. თუთაევი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის გან მავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შეხახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ფრეილინის ქუჩაზე, ბასტამოვის სახლში, № 5.


Доз. ценз. Тифлисъ 4-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е.Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე